



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-596/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა). ი. პ.
„საზოგადოებრივი დამცველი“ დამკვირვებლის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 28 ოქტომბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა. (ა). ი. პ. „საზოგადოებრივი დამცველი“ ხელმძღვანელის ირინა ფუტკარაძის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 28 ოქტომბრის განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №5024) შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. გაუქმდეს რეგისტრაცია „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა). ი. პ. „საზოგადოებრივი დამცველი“ დამკვირვებლების რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის 2018 წლის 23 ოქტომბრის №02-566/2018 განკარგულებით რეგისტრირებულ დამკვირვებელს - **№3 მარიამ ბარამაშვილს.**

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი